ჟურნალისტური ნამუშევრების კონკურსი

„გენდერულ დეზინფორმაციის და ქალთა მიმართ ძალადობის ეთიკური გაშუქების თემაზე“

ქალთა ფონდი „სოხუმი“ ახორციელებს პროექტს „ნარატივების შეცვლა: გენდერული დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა ინფორმირებული, მგძნობიარე საზოგადოებისა და ეთიკური რეგიონული მედიისთვის“.
პროექტის ფარგლებში ქალთა ფონდი „სოხუმი“ აცხადებს ჟურნალისტური ნამუშევრების კონკურსს გენდერული დეზინფორმაციის თემაზე.

კონკურსის საერთო აღწერა:

შესავალი: თანამედროვე ციფრულ ეპოქაში ჟურნალისტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გენდერული დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათი ამოცანაა ინტერნეტში სწრაფად გავრცელებული ყალბი ინფორმაციის იდენტიფიცირება, მოვლენებისა და პიროვნებების ზუსტი და მიუკერძოებელი გაშუქების უზრუნველყოფა.

კონკურსის მნიშვნელობა:

კონკურსი მიზნად ისახავს ჟურნალისტური ძალისხმევის მხარდაჭერას და აღიარებას ისეთი კონტენტის შექმნაში, რომელიც ეწინააღმდეგება გენდერულ დეზინფორმაციას. კონკურსი ასევე ხელს უწყობს ეთიკური და პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკის წინ წამოწევას ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის საკითხების გაშუქებაში. ის უზრუნველყოფს შესაბამისი პლატფორმის შექმნას ხარისხიანი ჟურნალისტური შემოქმედების მხარდაჭერისა და მნიშვნელოვან თემებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის.

კონკურსის პირობები

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ჟურნალისტს, ბლოგერს, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტს, რომელიც მოღვაწეობს **იმერეთის რეგიონში.** კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ჟურნალისტს ინდივიდუალურად ან ჟურნალისტების ჯგუფს, თუ კი საკონკურსო მასალა თანაავტორობით მომზადდა. ნომინანტებმა საკონკურსო ნამუშევარს უნდა დაურთონ მედია პლატფორმაზე გამოქვეყნების დამადასტურებელი ბმული. დამატებით ქულებს მიიღებენ მანაწილეები, რომლებიც ინოვაციურად მიუდგებიან ნამუშევრის გავრცელებას და ამისთვის რამდენიმე პლატფორმას გამოიყენებენ.

წარსადგენი ნამუშევრების ფორმატი

1. სტატია/ ბლოგი
2. მულტიმედია პროდუქტი
3. სიუჟეტი

სტატიისა და ბლოგის შემთხვევაში, სიტყვების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1200 სიტყვას.

სიუჟეტის დასაშვები ხანგძლივობა შეიძლება იყოს 2,5 დან 5 წუთამდე.

კონკურსზე მიიღება ნამუშევარი, რომელიც:

- ხელს უწყობს გენდერულ დეზინფორმაციასთან ბრძოლას და მიმართულია სექსისტური მიდგომების და ზიანის მომტანი სტერეოტიპების აღმოფხვრისკენ;
- ეთიკური და პასუხისმგებლიანი სტანდარტის დაცვით, სენსიტიურობითა და გადამოწმებული ფაქტების მოყვანით აშუქებს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის საკითხებს;
- ხელს უწყობს გენდერული დეზინფორმაციისა და გენდერული ძალადობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, მათ ინფორმირებულობას და აძლიერებს საკითხისადმი მათ ემპათიურობას.

ჟურნალისტური ნამუშევრების მოწოდების პირობები

საკონკუესო ნამუშევრად ჩაითვლაბა მხოლოდ **2024 წლის 25 ივლისიდან - 2024 წლის 20 სექტემბრამდე** მომზადებული/გამოქვეყნებული კონტენტი.
ნამუშევრის მოწოდების **ბოლო ვადა 2024 წლის 20 სექტემბერია.**
საკონკურსო ნამუშევრები მოგვაწოდეთ მითითებულ ელ.ფოსტაზე:
wfskonkursi@fsokhumi.ge

შეფასების კრიტერიუმები

ჟიური საკონკურსო ნამუშევრებს

შეაფა-სებს შემდეგი კრიტერიუმებით:

- თემის აქტუალობა;
- ინფორმაციის სიზუსტე;
- კრეატიულობა და ორიგინალურობა;
- სიცხადე და თანმიმდევრულობა;
- აუდიტორიაზე ზემოქმედება;
- ტექნიკური ხარისხი;
- კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

შეფასების დამატებითი კრიტერიუმები

- საკონკურსო ნამუშევარი შეიძლება გამოქვეყნდეს მაღალი დასწრების პლატფორმებზე (მაგ. საინფორმაციო საიტები, სოციალური ქსელები, ბლოგები ან ტელევიზია).
- დამატებითი ქულები მიენიჭება ინოვაციური მიდგომების გამოყენებასა და საკონკურსო ნამუშევრის, რამდენიმე პლატფორმაზე გავრცელებისთვის (კონკურსანტი წარადგენს გავრცელების მტკიცებულებებს (ლინკები, ნახავებისა და ინტერაქციების სტატისტიკა)".

საპრიზო ფონდი

საუკეთესო საკონკურსო ნამუშევარი

1. პირველი ადგილი:
სტატია /ბლოგი- 2200 ლარი
მულტიმედია პროდუქტი - 2200 ლარი
სიუჟეტი - 2200 ლარი

2. მეორე ადგილი:
სტატია/ბლოგი - 1650 ლარი
მულტიმედია პროდუქტი - 1650 ლარი
სიუჟეტი - 1650 ლარი

3. მესამე ადგილი:
სტატია/ბლოგი - 1100 ლარი
მულტიმედია პროდუქტი - 1100 ლარი
სიუჟეტი - 1100 ლარი

ნომინაციები:

1. **საუკეთესო ისტორია ქალზე, რომელიც არ ნებდება - 770 ლარი**
   (ისტორია, რომელიც ხელს უწყობს ძალადობის მსხვერპლი ქალების გაძლიერებას, მათი ბრძოლისა და წინააღმდეგობის გაშუქებით);
2. **დამწყები ჟურნალისტი გენდერული თანასწორობისთვის - 770 ლარი**
   (ყველაზე ახალგაზრდა ავტორის ნამუშევარი, რომელიც ებრძვის გენდერულ დეზინფორმაციას და ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას);
3. **ყველაზე ეთიკური საკონკურსო ნაშრომი - 770 ლარი**
   (ნამუშევარი, რომელიც ყველაზე ეთიკურად და მგძნობიარედ აშუქებს ქალების მიმართ გენდერულ დეზინფორმაციასა და ძალადობის საკითხებს).

დამატებით ინფორმაციას გენდერული დეზინფორმაციის შესახებ გაეცანით ჩვენს სოციალურ ქსელებში:

Facebook: WFSTbilisiOffice
Instagram: wfsukhumi
TikTok: @womenfundsukhumi
Twitter/X: https://twitter.com/CSukhumi

მიიღე სიმართლე ✓
✗ უარყავი დეზინფორმაცია